

აღამიანებს აქვთ უფლება, იყონდნენ სიმართლე

რეკლამის ადგილი (234 X 60)

ახალი 7 დღე

SHARE

- გახადე საწყისი
- დაამატე რჩეულებში
- RSS ნაკადი იმპორტისთვის

ახალი 7 დღე - საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერნეტგაზეთი - ინფორმაცია - ყოველდღიური, ანალიზი - ყველკვირეული

ჩვენ შესახებ ავტორები ქსელი

- სიახლეები
- პოლიტიკა
 - სამინაო
 - საერთაშორისო
- საზოგადოება
- ეკონომიკა
- რეგიონები
- მართლმსაჯულება
- კულტურა
 - ლიტერატურა
 - ჩვენი ბიბლიოთეკა
 - მუსიკა
 - მხატვრობა
 - კინო/თეატრი
- მედია
- პრესა-დაიჯესტი
- სპორტი
 - პროგნოზები

არასამთავრობოები ხელისუფლებას ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის დისკრედიტაციაში ადანაშაულებენ

29-06-2011, 13:22

სიახლეები

presage.tv
 არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებას ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის დისკრედიტაციაში ადანაშაულებენ.

როგორც არასამთავრობოების ერთობლივ განცხადებაში აღნიშნული, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, ზოგჯერ ისმის ისეთი განცხადებები, რომლებიც მოქალაქეებში ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის დისკრედიტაციას იწვევს. მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ მთავრობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, თითქოს საქართველოში ხორცზე ფასების მკვეთრი ზრდა ევროინტეგრაციის პროცესის შედეგია.

განცხადების მიხედვით, ბოლო წლების მანძილზე საქართველოს მთავრობა ცდილობს ევროკავშირთან ოფიციალური მოლაპარაკების დაწყებას "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების" დასადასტურებლად. მათივე ცნობით, ეს მექანიზმი ითვალისწინებს არა მხოლოდ სავაჭრო ბარიერების მოხსნას, არამედ ეკონომიკური საქმიანობის სტანდარტების დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან, რაც ქართულ პროდუქციას ევროპის ბაზარზე შედევას გაუადვილებს და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ევროპული სტანდარტების დანერგვის შედეგად, უკეთ იქნება დაცული საქართველოს რიგითი მოქალაქეების უფლებები და გაუმჯობესდება მათი მდგომარეობა. ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების ხელშეწყობისათვის ევროკავშირი ჩვენს ქვეყანას მრავალმილიონიან დახმარებას უწყევს.

ამავე დროს, ევროკავშირი თავს იკავებს საქართველოსთან ამ ხელშეკრულების დადებისაგან მანამ, სანამ საქართველო მთელ რიგ სფეროებში არ დაუახლოვდება ევროკავშირის სტანდარტებს. ერთ-ერთი ასეთი სფერო სურსათის უვნებლობაა. სწორედ ევროპული სტანდარტების დანერგვასთან არის დაკავშირებული თანამედროვე ტიპის სასაკლოების გახსნა, რომლებშიც სანიტარული ნორმები მაქსიმალურად იქნება დაცული, რაც უზრუნველყოფს ქართულ ბაზარზე გამოტანილი ხორცის პროდუქტების უვნებლობას. ამავ დროს, ევროკავშირის სტანდარტები ასევე გულისხმობს კონკურენციისათვის თავისუფალი პირობების შექმნასა და იმის უზრუნველყოფას, რომ დიდმა კომპანიებმა თავისი მონოპოლიური მდგომარეობით ბოროტად არ ისარგებლონ რიგითი მოქალაქეების ინტერესების ხარჯზე. სამწუხაროდ, საქართველოში ხორცის პროდუქტებზე ფასების ამასწინანდელი მკვეთრი ზრდა სწორედ იმის მანიშნებელია, რომ ქართულ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემო ჯერ კიდევ არ არის შექმნილი და საქართველოს ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მართებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად", - ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, ასოციაცია "ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის", კავშირი "21-ე საუკუნე", ეკოლოგიურად სუფთა და გენმოდირივირებული კვების წარმოებაზე მონიტორინგისა და მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრი, ლიბერალური აკადემია - თბილისი, სასურსათო პროდუქტების ექსპერტთა ასოციაცია, "საქართველოს ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაცია", საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი", ფონდი "ღია საზოგადოება -- საქართველო", კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა", ევროპული ინტეგრაციის ფორუმი, ასევე გაზეთ "რეზონანსის" რედაქტორი ლაშა ტულუში და ასოციაცია "საქმის" აღმასრულებელი დირექტორი კახაბერ კონიაშვილი.

ჟურნალისტური გამოძიება

რედაქტორების ბლოგი

პაატა ზაქარეიშვილის ბლოგი

იაგო კაჭკაჭიშვილის ბლოგი

ზურაბ კვიციანიის ბლოგი

ლია მუხაშვილის ბლოგი

7 დღის საბაზრო ტური



ვიდეოაუწყებელი მწვავე საუბარი სატელევიზიო ვიდეო რგოლი

- არქივი
- მარტი 2013 (1)
 - თებერვალი 2013 (3)
 - იანვარი 2013 (4)
 - დეკემბერი 2012 (2)
 - ნოემბერი 2012 (4)
 - ივლისი 2012 (155)

არქივის ზომის ნახვა

ძიება

გაფართოებული ძიება



Tweet 0

Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

Facebook social plugin

- ასევე:
- არასამთავრობოებმა ქუთაისელი მეტალურგების მხარდამჭერი განცხადება გაავრცელეს
 - "კოალიცია ევროპული საქართველოსთვის" - ხორცის გაძვირება ევროკავშირის

- სიახლეები
- ანალიზი
- პოლიტიკა
- ეკონომიკა
- ბლოგები